



საქართველოს თავდაცვის მინისტრის

ბრძანება

ქ. თბილისი

04/11/2021 წელი

№ MOD 7 21 00000956



ნატოს სამხედრო განათლების განვითარების პროგრამის (DEEP) განხორციელების სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ

„საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 12 დეკემბრის №580 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ე“ და „ო“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის (შემდგომში - სამინისტროს სისტემა) საგანმანათლებლო ერთეულებსა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში კეთილსინდისიერების ამაღლებისა და ამ მიმართულებით ცნობიერების გაზრდის მიზნით, ნატოს სამხედრო განათლების განვითარების პროგრამის (DEEP) მხარდაჭერით, შეიქმნას ნატოს სამხედრო განათლების განვითარების პროგრამის (DEEP) სამუშაო ჯგუფი (შემდგომში - სამუშაო ჯგუფი) შემდეგი შემადგენლობით:

ა) სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე - საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ადამიანური რესურსების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე **მაცა პეტრიაშვილი**;

ბ) სამუშაო ჯგუფის თანათავმჯდომარე - საქართველოს თავდაცვის ძალების წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობის G-5 სამსახურის უფროსი **ვიცე-პოლკოვნიკი ლაშა ადუაშვილი**;

გ) სამუშაო ჯგუფის წევრები:

გ.ა) საქართველოს თავდაცვის ძალების გენერალური შტაბის J-7 სამხედრო განათლებისა და საბრძოლო მომზადების დეპარტამენტის სამხედრო განათლების სამმართველოს მონიტორინგისა და ანალიზის განყოფილების უფროსი **ვიცე-პოლკოვნიკი ზურაბ ლომიძე**;

გ.ბ) საქართველოს თავდაცვის ძალების წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობის საერთო საჯარისო ცენტრის მანევრის ცენტრის ქვეითი სკოლის საერთაშორისო მანევრის კაპიტნის საკარიერო კურსის ოფიცერ-ინსტრუქტორი **კაპიტანი ლევან კოდუა**;

გ.გ) საქართველოს თავდაცვის ძალების წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობის საერთო საჯარისო ცენტრის შტაბის S3/S2-ის სერჟანტი **მასტერ-სერჟანტი რამაზ პჭვილიშვილი**;

გ.დ) საქართველოს თავდაცვის ძალების წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობის გიორგი ანწუხელიძის სახელობის სერჟანტთა აკადემიის სერჟანტთა სამეთაურო-სამტაბო კურსის ბრძოლის თეორიისა და ისტორიის ჯგუფის ინსტრუქტორი **მთავარი სერჟანტი თორნიკე თვარაძე**;

გ.ე) საქართველოს თავდაცვის ძალების წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობის გიორგი ანწუხელიძის სახელობის სერჟანტთა აკადემიის სერჟანტთა ძირითადი სამეთაურო კურსის (II საფეხური) უფროსი **მთავარი სერჟანტი გიორგი ხუციშვილი**;

გ.ვ) სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიის იუნკერთა სასწავლო ბატალიონის იუნკერთა პირველი კურსის უფროსი **მაიორი რომანი ჯავრიშვილი**;

გ.ზ) სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიის უმცროს ოფიცერთა მომზადების სკოლის საკანდიდატო კურსის უფროსის მოადგილე **კაპიტანი რევაზ ტორონჯაძე**;

გ.თ) საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ადამიანური რესურსების დეპარტამენტის ადამიანური რესურსების პოლიტიკის სამმართველოს სამოქალაქო პერსონალის პოლიტიკის განყოფილების მთავარი სპეციალისტი **ნონა ხანთაძე**;

გ.ი) საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ადამიანური რესურსების დეპარტამენტის ადამიანური რესურსების პოლიტიკის სამმართველოს ორგანიზაციული განვითარების განყოფილების მთავარი სპეციალისტი **ნინო შანშაშვილი**;

გ.კ) საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ადამიანური რესურსების დეპარტამენტის განათლების, პოლიტიკისა და პროფესიული განვითარების სამმართველოს უფროსი **ანა დევსურაშვილი**;

გ.ლ) საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევროატლანტიკური ინტეგრაციის დეპარტამენტის ნატოში ინტეგრაციის სამმართველოს ნატოსთან თანამშრომლობის განყოფილების მთავარი სპეციალისტი **ირინა ტერელაძე**.

2. სამუშაო ჯგუფის წევრების მიერ განსაზღვრული საჭიროების შესაბამისად, სამუშაო ჯგუფის მუშაობაში ჩაერთონ:

ა) საქართველოს თავდაცვის ძალების წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობის პოლკოვნიკ ბესიკ ქუთათელაძის სახელობის საჩხერის სამთო მომზადების სკოლის შტაბის სამთო სწავლებების დაგეგმვის შეფასების, ანალიზისა და გაზიარების ჯგუფის სერჟანტი **უფროსი სერჟანტი ალექსანდრე კერესელიძე**;

ბ) საქართველოს თავდაცვის ძალების წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობის ნატო-საქართველოს წვრთნებისა და შეფასების ერთობლივი ცენტრის (JTEC) წვრთნების შეფასების ცენტრის სერჟანტი **მთავარი სერჟანტი გიორგი ბრეგვაძე**;

გ) სსიპ თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლის პროფესიული და ინსტიტუციური განვითარების დეპარტამენტის ინსტიტუციური განვითარების სამმართველოს უფროსი ოფიცერი **ვიცე-პოლკოვნიკი თეიმურაზ ბუსხრიკიძე**.

3. სამინისტროს სისტემაში არსებულ საგანმანათლებლო პროგრამებში კეთილსინდისიერების ამაღლებისა და კარგი მმართველობის ელემენტების ინტეგრირების პროცესის მხარდაჭერის, ამ მიმართულებით სასწავლო კურსებსა და კურიკულუმებში კეთილსინდისიერების საკითხების ასახვის განხორციელების მიზნით, სამუშაო ჯგუფმა უზრუნველყოს:

ა) მომავალ ტრენერთა ტრენინგის კოორდინირება, რომელიც გულისხმობს სამინისტროს სისტემის შესაბამისი სამსახურების პერსონალის, მომავალ ტრენერებად გადამზადებას კეთილსინდისიერების ამაღლების საკითხებში;

ბ) ნატოს სამხედრო განათლების განვითარების პროგრამის (DEEP) ფარგლებში შეხვედრების ორგანიზება (მათ შორის ონლაინ სამუშაო შეხვედრების ჩატარება) და წინადადებების შემუშავება;

გ) ნატოს მხარის მიერ შემოთავაზებული ვორკშოპების/სამუშაო შეხვედრების ორგანიზება;

დ) საჭიროებების განსაზღვრის მიზნით, არსებული კურიკულუმების/კურსების გადახედვა და ანალიზი;

ე) გამოვლენილი საჭიროებების გათვალისწინებით, კეთილსინდისიერების საკითხების განსაზღვრა და კურიკულუმებში/პროგრამებში ასახვასთან დაკავშირებით წინადადებების და რეკომენდაციების შემუშავება და საქართველოს თავდაცვის მინისტრისთვის წარდგენა;

ვ) ნატოს სამხედრო განათლების განვითარების (DEEP) პროგრამის წარმომადგენლებთან პერიოდული კომუნიკაციის განხორციელება და ქართული მხარის მიერ მომზადებული წინადადებების გაცნობა;

ზ) ნატოს სამხედრო განათლების განვითარების (DEEP) პროგრამის წარმატებით განხორციელებისთვის მონიტორინგის უზრუნველყოფა.

4. სამუშაო ჯგუფი უფლებამოსილია, სამუშაო ჯგუფის საქმიანობაში მონაწილეობის მიღების მიზნით, მოიწვიოს სამინისტროს სისტემის და სხვა დაწესებულებების შესაბამისი წარმომადგენლები.

5. სამუშაო ჯგუფის მუშაობის კოორდინირებას განახორციელებს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ადამიანური რესურსების დეპარტამენტი.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

მინისტრი
ჯუანშერ ბურჭულაძე

